რედაქცია
გოლოვინის პროსპექტზედ. იგ. მუხრანსკის სახლებ-
... ქვემოთ

ხელის-მოწერა
მიიღება თბილისში „დროების“ რედაქციაში, ქუ-
თაისში ჭილაძის (გვარამიის) წიგნის მაღაზიაში. გარეშე
... იწერება: Въ Тифлисъ, въ редак-
цію „Дроэба“.

„დროების“ ფასი:
მთელის წლის . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით, ასოზე 1 კაპ., ასო მთავრულით ასოზე ნახევარი კაპ., ჩვეულებრივ ... ზე მაური.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია ასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით კვლავ დაუბრუნებს ავტორს.
განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.
ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს ერთი მაური.

არწრუნის თეატრში
კვირას, 25 აპრილს
ბენეფისი
ქ. მესხისა
მონაწილეობას მიიღებს ე. მესხი
ქართული დრამატიული დასის არტის-
ტებისაგან წარმოდგენილი იქნება:
I
ჟან ბოდრი
დრამა 4 მოქმ. ნათ. ფრანცუზულიდამ.
მთამაშობენ: ნ. გაბუნია, ე. მესხი, ქ.
მესხი, ვ. აბაშიძე, ქ. ყიფიანი და სხვ.
II
დატრიალდა ჯარა
ვოდევილი 1 მოქმედებად.
ბილეთები იყიდება თეატრის კასსაში.
დასაწყისი 8 საათზე.

## ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლისაგან.

ოზურგეთის მაზრის კეთილ-შობილთა წინამძღოლი აცხადებს და უმორჩილესად სთხოვს მაზრის თავად და აზნაურთ:

I. მობრძანდნენ ქ. ქუთაისში 30 ამ აპრილს, დილის ათ საათზედ ოზურგეთის თავად-აზნაურთა ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც უნდა შესდგეს: ა) მოსამზადებლად და მოსასმენათ სხვა-და-სხვა განკარგულებისა მომავალი მაისის საგუბერნიო კრებისათვის, ბ) მოსალაპარაკებლად თავიანთ საჭიროებაზედ.

II. წარმოუდგინონ მას კანონიერი საბუთები, რომლითაც შეეძლებათ მიიღონ მონაწილეობა ყოველ საგნის განხილვაში და წინამძღოლების აღმორჩევაში. (6—1)

## ტელეგრამმა

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პეტერბურღი, 19 აპრილს. გაზ. „ნოვოსტში“ დაბეჭდილია: ებრაელების კომიტეტისაგან შედგენილი პროექტი 20 აპრილს სამინისტროს კომიტეტში იქნება წარდგენილი.

საქალებო კურსების დასახმარებლად ცალკე საზოგადოება შესდგა.

აღმოჩნდა, რომ ხალტურინის ცხენის მყიდავი კლიმენკო ყოფილა, რომელიც ადრინდელ პროცესის გამოცემბირში ყოფილა გაგზავნილი დასასახლებლად და იქიდამ გამოქცეულა.

## ჩვენი სატუსაღოების წესები

ტფილისი, 20 აპრილს.

ჩვენს გაზეთში (№ 74) იყო ამას წინად მოყვანილი ერთის ტუსაღის სოკრატ იოსელიანის წერილი, რომელშიაც ის სწერდა თავის წვალებას და უკანონო მოქმედებას ბ. ახალ-სენაკის სატუსაღოს ზედამხედველისას; თუ როგორ წაართვეს მას ფული, როგორ სცემეს და სხვ. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ბ. იოსელიანი ამბობდა იმ წერილში და, თუ საჭირო იქნაო, ამის დამტკიცებაც შემიძლიაო, რომ ამ ახალ-სენაკის სატუსაღოს ზედამხედველმა ორი კაცი, ორი ტუსაღი მოჰკლა ცუდათ მოპყრობითაო და თუმცა ექიმებმაც შეამოწმეს მაგრამ აქედამ არა გამოვიდა-რა და, როგორც ხშირად მოხდება ჩვენში, ეს საქმე ჩაფარცხესო.

ამ გვარივე ამბები ბევრი იწერებოდა ამ ორი-სამი წლის წინათ ქუთაისის სატუსაღოს შესახებაც; იქაც ტუსაღების საძაგლად მოპყრობაზედ სჩიოდნენ, ცუდს რჩენაზედ და სხვ. მაშინ, რამდენათაც ვიცით, ადმინისტრაციამ მიაქცია ყურადღება ქუთაისის სატუსაღოს მდგომარეობას და, როგორც გვაცნობებდნენ, ცოტათ თუ ბევრად, გააუმჯობესა ეს მდგომარეობა.

ამასვე მოველით ჩვენ ახლა ახალ-სენაკის შესახებაც. ჩვენ არ ვიცით, რასაკვირველია, რამდენათაც მართალია ამ ამბის მიმწერი ბ. იოსელიანი. შესაძრწუნებელი ამბავი მოიწერა, დამტკიცებას გვპირდებოდა, თავის სახელსა და გვარს აწერდა და დავბეჭდეთ. შესაძლებელია, რომ ყველაფერი, რასაც ის იწერება, ყველა ბარბაროსობა, რომელსაც ის აგვიწერს, ნამდვილი არ იყოს, გაჯავრებულმა კაცმა იქნება ცოტა გააზვიადა საქმის გარემოება. ვამბობთ, ... ეს ადვილად შესაძლებელია; მაგრამ უმაღლესი ადმინისტრაცია ვალდებულია მაინც სასტიკი გამოძიება დანიშნოს ამაზე და ნამდვილად, ენერგიულად, მიუდგომელად გამოიძიოს—რამდენად მართალია ბ. იოსელიანისაგან აწერილი გარემოება და შემთხვევები.

და თუ მართალი აღმოჩნდა, რაღა თქმა უნდა, რომ სამართალი სასტიკად დასჯის დამნაშავეს, სამაგალითოდ სხვებისათვის.

ისიც კმარა, ღმერთმანი, რაც დაფარული და დამალული ბოროტ-მოქმედება ხდება ჩვენში; თუ კი სადმე ამ ბოროტ-მოქმედებამ თავი ამოჰყო, თუ კი სადმე გამოაშკარავდა, დაუსჯელი და კანონ-გადაუხდელი როგორ უნდა რჩებოდეს?!....

## დღიური

ჩვენ გვაცნობებენ, რომ იმ წარმოდგენიდამ, რომელიც ბოდრიუას ცირკმა გამართა ამას წინათ, გადამწვარ სიღნაღის სოფლების ქარდანახისა და ზემო-მაჩხაანისა სასარგებლოდ, სულ 1378 მან. შემოსულა; აქედამ 675 მან. ცირკს წაუღია; დახარჯულა მოჭიდავეებზე და სხვ.—40 მან., დანარჩენი 663 მან. და ამას გარდა 150 მან., რომელიც ბ. იაგორ ქასუმოვს შეუწირავს, სულ 813 მან. ამ წარმოდგენის გამმართველთ ბ. ტფ. ღუბერნატორისათვის გარდაუციათ დანიშნულებისამებრ მოსახმარად.

* *

ელისავეტოპოლიდამ (განჯიდამ) იწერებიან გაზ. „კავკაზში“, რომ კავკასიის მთავარ-მმართებელი თ. დონდუკოვ-კორსაკოვი ამ თვის 13 მისულა იქ. ქალაქის შესავალში დიდძალი ხალხი დახვედრიან ცხენოსნები, ქვევითები და ეკიპაჟებით. უველაზე პირველად ეკკლესიაში შესულა და იქიდამ დაბრუნებულა სადგომზე, სადაც ყველა უწყების მოსამსახურე პირი ბული ბრძანდებოდეს; ჩვენის მხრით კი შეგვიძლია მაზე ვთქვათ რუსის პოეტის სიტყვები:

Онъ по когтямъ узналъ меня въ минуту,
Я по ушамъ узналъ его какъ разъ!*)

## „დროების“ ფელეტონი, 21 აპრილი.

### ქუთათური ამბები

#### ორიოდე სიტყვა გაზეთს „შრომაზე“

რა უთქვამს რა მოუწმასავს, რა წიგნი მოუწერია?
შ. რუსთველი.

გულში მწვავე ისრად მოხვედრია აქაურს „სალიტერატურო და საპოლიტიკო ორგანოს“ ჩვენი გაზეთის მე-64 №-ში დაბეჭდილი ფელეტონის იგი ადგილი, რომელშიაც ვამბობდით, რომ მისგან „ლანძღვისა და თრევის ჟღრიშით“ მისვლა ქალაქის თავის პიროვნობაზე იმ დროს, როდესაც მას, ვითარცა შეფერხებული თვით-მმართველობის წარმომადგენელს და მაშასადამე მისი ინტერესების დამცველს ეჭირვება „სიმხნით და ერთგულებით ზნეობითადი“ დახმარება, ამ დროს ყვირილი-მეთქი „შრომის“ რედაქციისაგან, რომ „ჩვენი თავი ტუტუცების ქუსლაბაშიაო“ — ვამბობდით და ვამბობთ,—არის „სამზღვარს გაცილებული უტაქტობა.“

ყოველი მიუდგომელი მკითხველი დაგვეთანხმება, რომ ჩვენ ამ აზრის წარმოთქმით სიმართლისთვის არ გვიმტყუნებია. როგორც ყოველს დამნაშავეს, ისე ამ შემთხვევაში „შრომას“ —ზემოთაც გითხარით,—გულში მწვავე ისრად მოხვედრია ეგ სიმართლე, და, მოგეხსენებათ უკვდავის შოთასაგან თქმული ჭეშმარიტება:

გული, ცნობა და გონება
ერთმანეთზედან ჰკიდიან,
რა გული წავა, იგიცა
წავლენ და მისკენ მიდიან...

სწორედ ასე დაემართა ქუთათურ გაზეთსაც: მისს მე-13 №-ის დამატებაში დაბეჭდილია „შენიშვნები“ ჩვენს წინააღმდეგ ცხადად გვიჩვენებენ, რომ რედაქციის გაგმერილს გულს თან გაჰყოლია მისივე ცნობა და გონება, რის გამოც იმისთანა უცოდინარობასა და ცილისწამების ნიჭს იჩენს, რომ თვით „ბუმბლიან და უბუმბლო მოდის ვარიებსაც“ კი ხარხარს მოჰგვრის... სწორედ სასაცილო იქნებოდა ჩვენთვისაც, ასე სამწუხარო რომ არ იყოს, ამისთანა თვისების გამოჩენა გაზეთისაგან ამ დროს, როდესაც მწერლობას მოეთხოვება განსაკუთრებითი გონიერება და სიფხიზლე თანა-მემამულეთა აზრის ხელთ-მძღვანელობისათვის...

„დიდი ხანია „დროებას“ კანჭებში ეტყობა, რომ მას უნდა ფალავანსავით გამოინავარდოს ჩვენის გაზეთისკენო,—ამბობს „შრომის“ რედაქცია,—მაგრამ თვითონ არ კადრულობს, არ უნდა თვისი ბუმბერაზობა ჩვენს ჩია-კაცობაზედ, ქონდრის-კაცობაზედ გასცვალოს და ამისთვის... საობიელზედ აჯავნის ორს მჯღაბნელს, უცნობს თფილისიდგან და მეორეს აშკარად ცნობილს ქუთაისიდგან, რომელიც გაზეთში ჭ-ით სახელდებულია და ხშირად უსახელოდაც გამორბის, მაგრამ აშკარად ეტყობა ვინც უნდა იყოს“...

ყოვლის პირველ შევნიშნავთ, რომ ანონიმი ნამდვილად უცვნია რედაქციის სტატიის ავტორს და დამშვიდებული ბრძანდებოდეს; ...

რასაკვირველია, ამისთანა თანამშრომლების მყოლ გაზეთზედ, რომელშიაც ხანდისხან თუ რამე ვარგა შემთხვევითს — თანამშრომელთ ეკუთვნის,—შეუძლებელია რომელიმე სალიტერატურო ორგანომ განიზრახოს ფალავნურად გალაშქრება, მით უფრო, რომ თვითონ „შრომა“ ჩვენგან თქმულის სიმართლისაგან ზარდაცემული გამოტეხილია თავის „ჩია-კაცობაში, ქონდრის კაცობაში“ **). და ერთი მითხარით, „ჩია-კაცზე, ქონდრის კაც-

---

*) ესე იგი მან კლანჭებით შემატყო ვინც ვიყავი და მე კი ყურებით ვიცანი ვინც არის ისო.

**) რედაქციის თავით თვისით გვემა საქვეყნოდ ცოდვების აღსარებას ჰნიშნავს. კარგი და პატიოსანი.“ (იხ. „შრ.“ № 11).

რები გამოცხადებიან. იმავე საღამოს და მეორე დღეს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს დაუხედავს ადგილობრივი გიმნაზია, ჯარები, მიუღია კერძო პირებისაგან საჩივრები და თხოვნა.

* * *

ამავე გაზეთის სიტყვით, ჩვენს ქალაქში ამ მოკლე ხანში ახალი დროგამოშვებითი ნახატებიანი გამოცემა უნდა გამოვიდეს, სახელად „კავკასიის ტიპები და ხალხები", თვეში თითო წიგნად გამოვაო. ყოველს წიგნში თითო რომელიმე ტიპი იქნება აწერილიო და თითო მხატვრობაც.

* * *

გამოვიდა მესამე (მარტის) წიგნი „ივერიისა" და დაურიგდა ხელის მომწერლებს. შინაარსი ამ წიგნისა: „ციხე შიგნიდამ გატეხილი"—რომანი ხოზე მარმოლისა (თარგმ.,)—ქალი აყვანა „(ლეგენდა) თ. რაფ. ერისთავისა,—„ისტორიული სურათები" მღ. დიმ. ჯანაშვილისა,—* * *, ლექსი ი. ბაქრაძისა,—„რა არის ერი?" ერნესტ რენანისა,—* * * ლექსი ვ. ო-სა,—„შინაური მიმოხილვა",—„ახალი წიგნები", — „სხვა-და-სხვა",—განცხადებანი.

* * *

ჩვენ ვაიგონეთ ამ დღეებში რამდენიმე ქართული ძველი და ახალი სიმღერები, რომელიც ჩვენს მომღერალს ბ. ფილიმონ ქორიძეს გარდაუღია ნოტებზე ფორტეფიან-სათვის. სხვათა შორის ბ. ქორიძემ იმღერა „ვაჰ დრონი, დრონი" ალ. ჭავჭავაძისა, „საყვარელსა განმაშორა სოფელმან" —იმისივე, „თავსა უფლად ნურავინ ჰგონებთ"—კიდევ იმისივე, „სალამური"—აკაკისა და იმისივე „ოცნება". თითქმის ყველა ეს სიმღერები და განსაკუთრებით „საყვარელსა გამაშორა სოფელმან" ნამდვილის ქართულის კილოთი არის გადატანილი და ამასთანავე ისე კარგათაც გადაღებული ნოტებზე, რომ ევროპიელის ყურთა სმენასაც დაატკბობს.

* * *

ბუშინ, 20 აპრილს, ღენ.-ადიუტ. თ. ლევან ივანეს-ძე მელიქიშვილი პეტერბურღში წავიდა.

## მცირე შენიშვნა.

ზაქ. დავითის შვილის წრომის მონასტრის აღწერას (იხ. № 77, „დროება") მე მინდა დაუმატო ორიოდე სიტყვა.

წმ. რაჟდენი ჩამომავლობით იყო სპარსი. მეფე ვახტანგ გორგასლანმა რომ დაამარცხა ოსები, ჩერქესები და სხ. მთიული ხალხები, გამარჯვებული, დიდ ძალის საშოვრით დაბრუნდა მცხეთაში და საჩუქრები მიართვა სპარსეთის შაჰს ორმიუზდს და სთხოვა ცოლად ასული. შაჰმა ბელანდუხტ,ს ასული თვისი, მის გამზარდელთან სრაზდინთან-რაჟდენიან (სრაზდინ არაბულად ჰნიშნავს სარწმუნოების მანათობელს) ერთად გამოუგზავნა ვახტანგს. ბალენდუხტმა და რაჟდენმა მალე მიიღეს ქრისტიანობა და უკანასკნელი მეფემ მხედართ უფროსად დანიშნა.

შემდეგ, საქართველოს რომ „სპარსეთის ჯარი შაჰის ფიროუზის (იყო ძმა ორმიუზდისა) ბრძანებით, შამოესია, რაჟდენი გამაგრებულიყო არმაზის ქალაქში. შემოხვევით იგი აქ ტყვე ჰყვეს სპარსელებმა და შაჰს წარუდგინეს. ბევრი დაემუქრნენ და ეხვეწეს, მაგრამ რაჟდენმა ქრისტიანობას არ უღალატა და მედგრად იდგა. გაჯავრებულმა სპარსელებმა საშინლად აწვალეს და მერე შაჰის ბრძანებით წაიყვანეს დაბა წრომში (გორის მაზრაში, საციციანოში, მტკვრის მარჯვენა მხარეს,) სადაც იდგა სპარსეთის ჯარის უფროსი. აქაც რომ ვერას გზით ვერ გადაარჯულეს, ჯვარს აცვეს და მერე შვილდისრებით დახვრიტეს 3 აგვისტოს 457 წელს.

ბოლოს ქართველებსა და სპარსელებ შუა ზავი შეიქმნა და საქართველოში მშვიდობიანობა დამყარდა. მაშინ მეფე ვახტანგმა იპოვა წრომში ფარულად დასაფლავებული გვამი რაჟდენისა და დიდის დიდებით წაიღო იგი ზემო ნიქოზში და იქ თავისაგანვე აჰგებულს ღვთაების ტაძარში დამარხა. ნიქოზში (გორის მაზრაშია, ლიახვის მარჯვენა ნაპირზე) დასვა ეპისკოპოსი ოსეთისა და ბლოლისა.*)

ვისგან, როდის არის აშენებული წრომის მონასტერი საეკკლესიო ისტორიიდგან არა სჩანს. ვახუშტის გეოგრაფიაში მოიპოება შემდეგი სიტყვები მასზე: „მძორეთის ჩრდილოთ, გორას იქით და სამწევრის ზეით არს მონასტერი ყოვლად წმინდისა, წრომს, გუმბათიანი, შვენიერი. სოფიის კენჭით ჩაწყობილ-დახატული და ხუცის სამარ."

ხუთ ვერსიან რუკაზე (გამოცემა შტაბისა) ჩვენ ვხედავთ, რომ მთელს ძამის ხეობაში და მის დასავლეთის მხრით მტკვრის მარჯვენა ნაპირებზე (საციციანოში და გუჯარეთის ხეობაში) უწინ ყოფილან მრავალი შენობანი, დაბანი, ქალაქნი. ეხლა მ ნანგრევებიღა მოწმობს მათ არსე სა.

ამ ადგილების გაუერანება მოჰ ნელა-ნელა. სპარსელებმაც, არაბ ოსმალებმა და უმეტესად მონგოლ პირქვე დასცეს და გაოხრეს ეს ერ დროს აჰყვავებული ადგილები. ზემ ატენი, ღვარები და ახალი ჯვ მთის მიდამონი მე-XVIII საუკ სულს ლეკების საყაჩაღო ბუდე და ამათაც, რასაკვირველია, წი ხვდათ ამ ქვეყნის გაუერანებაში.

მ. ჯანაშვილი.

*) ნიქოზის საეპისკოპოსო არ გაუქმებულა ვიდრე 1811 წლამდე (იხ. „Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства" დ. ზ. ბაქრაძისა გვ. 113.) ამ ეკკლესიიდგან 1799 წ. ათანასე ეპისკოპოსის დროს დაიკარგა ძვირფასი ჯვარი ცხოველს მყოფელის ხისა, რომელიც, ვითომც, მეფე ვახტანგს იერუსალიმიდგან წამოეღოს. მ. ჯ.

## ქართული ისტორია

### VII

ქართველებისა და სომხების ბრძო საზღვრების გამო.—რომის ისტორი კოსის ტაციტის ცნობა საქართველო ზე და სომხეთზე.

„ადერკის მეფობამდე—იტყვის ქა თლის ცხოვრება—ქართლს ერთ დაჯდის მეფედ, რაზომცა მრავალ იყვნენ შვილნი მეფეთანი. ხოლ ამას ადერკი ესხნეს ორნი ძენი, რო მელთა განუყო ქალაქი მცხეთა ქვეყანა მტკვარსა: შიდა-ქართლი მ ნარით კერძი ქალაქი და ყოვე ქართლი, მტკვარსა ჩრდილოეთი ჰერეთითგან ვიდრე თავამდე ქართლ სა დე ეგრისისა ესე მისცა ბარტო უხუცესსა ძესა თვისსა; ხოლო არ ზით კერძი, ქალაქი, მტკვარსა სამხრ ქართლი, ხუნანითგან ვიდრე თავ მდე მტკვრისა და კლარჯეთი მის ქართამს ძესა თვისსა უმრწემესს შესანიშნავია, რომ ამ დროს თ სომხეთის სამეფოც ორათ იყო სომხური ისტორია ამბობს, რო ავგარ მეფის სიკვდილის შემდეგ წელს ქრისტეს შობიდამ, იმისი

---

ზე" რა საჭიროა ფალავნურად გალაშკრება და რად უნდა გაუცვალოს მას ვინმემ თავის „ბუმბერაზობა", როდესაც საკმაოა მისთვის ორიოდ ჯერ გვერდს ჩარებით მათრახის თავაზობა? ჩვენც ასე მოვიქცევით და ვიქცევით, თუმცა ამის გამო გამწვავებული „ჩია კაცებისა და ქონდრის კაცებისგან" შემდგარი რედაქცია ას-საპალნე ცილს გვწამებს, მაგრამ ჩვენ სრულიად გულუშფოთველნი ვართ იმ იმედით, რომ მკითხველი თვით ძალიან კარგათ მიხვდება თუ რამდენად უმეგობრებია სიმართლისა და პატიოსნებისათვის ამის მთქმელს, რომელიც ამბობს რომ

„დროება" გვიპასუხებს (ინშ-ალლაჰ!!), რომ ჩვენ იმ მოაზრეთაგანს ვეკუთვნით, რომელნიც საზოგადო საქმესა და საზოგადო საქმის აღსრულებისათვის დანიშნულს კაცს ერთი-ერთმანეთს არ აშორებენო. ჩვენის აზრით, ვინც ქალაქის გამგ. ცუდს ამბობსო, ის ქალაქის თვითმმართველობის მტრად მიგვაჩნიაო; ვინც ბანკის გამგეობაზედ რაიმე ეჭვს შეიტანს, ის ჩვენს თვალში ბანკის დამღუპველიაო; თუ „დროებას" ვინმემ წუნი დასდვა, ის ქართულის ლიტერატურისა და მთელის საქართველოს მოსისხარი მტერი იქნებაო; ქალებზედ თუ რაიმე წამოგცდა, კაცობრიობის მტრად უნდა ჩაგთვალოთო; თუ სთქვი ამა-და-ამ სასწავლებელში კარგად ვერ ასწავლიანო, უთუოდ განათლების მებრძოლად უნდა გიცნოთო; მღვდლებზედ თუ რაიმე სთქვი, ქრისტეს მცნების უარმყოფელი იქნებიო. და თუ ვინიცობაა, გაბედე (დასწე სიმხთლეს) და უეზდის ნაჩალნიკის (ქართულად ითქმის: „მაზრის უფროსის"), ან მაზე უფროსის უწესო მოქმედებაზედ მიუთითე, მაშინ ხომ საზოგადო კანონების(?) და თვით ხელმწიფისა და მამულის მოღალატე იქნებიო!"

ძრიელ სასიამოვნოა, რომ ჩვენზედ ამხედრებული მოპირდაპირე იმისთანა იარაღს გვიქნევს, რომ ჩვენ ვერაფერს გვაკლებს და თავის-თავს კი ზნეობითად ვნებს! ყოველს ჩვენს მკითხველთაგანს უთუოდ მრავალი საბუთები ემახსოვრება თვითოეულის ზემო-მოყვანილი ცილის-წამებათაგანის დასარღვევად და, ამიტომაც ჩვენის მხრით სრულიად მეტად მიგვაჩნია მათი დარღვევა და ჩაბახვა! მხოლოდ ვერ მოგვითმენია, რომ არ ვკითხოთ „შრომის" „ქონდრის-კაცებს": თქვენის აზრით ჩვენი თავი ჩვენვე უნდა აღვიაროთ ა) საზოგადო კანონების, ბ) . . . . . და გ) მამულის მოღალატეთ (უჰ, რა სასტიკი პროკურატურაა!), რადგანც, სხვას თავი დავანებოთ,—იმ ნომრის (64) იმ ფელტონშივე, რომელმაც თქვენ ასე აგაწიწმატათ, ტყავი აქვს აძრილი სენაკის მაზრის უფროს, მაზედ უფროსს პირს და დაწესებულებასაც! საწყალო „დროება", როგორ გაგიციმბირებია თავი! ასე ჰფიქრობთ განა, ბატონებო? ვაიმე, ძმაო თარხანო... აგრეა ყოველთვის: როდესაც „ჩია-კაცები" მწერლობას ხელს მიჰყოფენ, „ლიტერატორობის" მაგიერ „ჭორატორობის" სახელი დაუსაკუთრდებათ!..

მაგრამ ამას თავი დავანებოთ, და, მართალი მოგახსენოთ, საფუძვლიანი მიზეზები გვაქვს ვიფიქროთ, რომ თვით „შრომის" რედაქცია ეკუთვნის „იმ მოაზრეთაგანს", რომელთაც მან „დროება" მიაწერა, მაგალითად: ა) ერთი „დიდი მოხელეს" წყალობით, ხონში სახაზინო (უწინ საეკკლესიო) მამულების საქმე მათის დღევანდელ მეპატრონეთ საზიანოდ წყდება და „შრომას" დღემდისაც ამაზე ერთი სიტყვაც არ უთქვამს და ჩვენ კი, რამდენადაც შეგვეძლო, თავის დროზე ავხსენით ეს საქმე; ბ) ქუთათურს პო ლიციაზე კრინტიც არ დაუძრავს, თუ ცა შარშანს აქეთ თითქმის არსად არის ისე სუსტად დაცული საზოგა დობრივი მყუდროება და პიროვნულ შეუხებლობა, როგორც ქუთაისში „დროებამ" სთქვა რამდენიც შესძლ და შეაძლებინეს; გ) სიტყვა უთქვამს არც ერთს იმ უწესურობა ზე და ხალხის ცარცვა-გლეჯაზე, რო მელთაც ასე უპატრონოთ სჩადიო ადგილობრივი მოხელენი ჩვენს მ რებში; ოზურგეთის მაზრაში თ თვით რედაქტორის დ. დადიანის არის უფროსად და იმიტომ არაფე ამბობს, სხვა მაზრების სამმართვე ლოებს და უფროსებს მაინც აფარებს ხელს?; დ) 31 მარტს მე რედ დანიშნული ქუთაისის საურთ ერთო ნდობის ბანკის საყოველთა კრება, რომელიც 17 მარტსვე უნ შემდგარიყო, მაგრამ ამ დღისთვის ვერ შესდგა, რადგანაც ბანკის გამგე ბამ ვერ წარმოადგინა სარევიზიო მისიისაგან განხილული ანგარიში, რა განაც კომმისიას სძინებია და არ ნუხილავს იგი. ორმა წევრმა კომ სიისამ, რომელთაც ხელი ჰქონდა

მეფე ორათ განნაწილდა: ავგარის შვილმა ანანემ ანუ ანანუნიმ მდესსა თურმე დაიჭირა და ავგარის დისწულმა სანადრუგმა კი სომხეთის ნაწილი და ადიაბენი დაისაკუთრა: მაგრამ სანადრუგმა მაშინათვე მოინდომა სომხეთის შეერთება თავის ხელში და ამ განზრახვით ანანეს ბრძოლა აუტეხა. საქართველოში ორ-ორ მეფეთ კაი-ხანი ურთი-ერთი კავშირი არ შეუწყვეტიათ. ერთი იმათგანი იჯდა არმაზში, მეორე შიდა-ქალაქში, ანუ უკეთ ვთქვათ, იმათ ჰქონდათ გაყოფილი ქალაქი მცხეთა: უფროსს ეჭირა „მუხნარით კერძი"! უმცროსს „არმაზით კერძი". ორნივე ერთგვარ მფლობელობდნენ თუ არა, ორივეს ერთ-გვარ ძალა ჰქონდათ თუ არა, ამ საგანს ჩვენი წელთ-აღწერა ყრუთ მოიხსენებს. სტრაბონი კი ამბობს: „იბერია დასახლებულია ოთხის განვითარებულის წოდებით: პირველს ეკუთვნიან მეფენი; იმათში უმთავრესობს ის, რომელსაც მემკვიდრეობა და წლოვანება უპირატესობას აძლევს; მეორე მხოლოდ მსაჯულობს და სპათა წინამძღოლობს". ჩვენის ფიქრითაც ერთი ამ მეფეთაგანი მეორის დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო, რადგანაც აქ ყოველთვის უხუცესობას უპირატესობა ჰქონდა. თუმცა ქართლის ცხოვრება გვიამბობს: ,,მეფობდეს ძენი..." ,,შეითქვნეს ესენი და განიზრახეს..." ,,ერთგან მოყვარენი ვისნიმე და ერთგან მტერნი ვისნიმე..." მაგრამ ესეც არ ამტკიცებს ერთ-გვარ უფლებას და ძალას ორისავე მეფისას. საკვირველია, რომ ჩვენნი ორ-ორნი მეფენი ერთ დროს ასრულებენ თავიანთ მფლობელობას: გგონიათ, ისინი ან ერთსა და იმავე ჟამს იხოცებიან, ან როდესაც უხუცესი იმათგანი კვდება, მაშინ უმრწემესიც სტოვებს თავის უფლებას. არც თურმე იყო ფარსმან ქველამდე და მირდატამდე, რომელნიც მეფობდნენ 113—129 წელს ქრისტ. შობ. შემდეგ.

ქართლის დაყოფით შესუსტებული საქართველო ჩაუვარდებათ ხელში სომხეთის მეფეებს. ,,ადერკისითგან მეფენი ფარსმან და ქაოს (72—87 წ. ქრისტ. შობ. შემდეგ) იყვნეს მორჩილებასა შინა სომეხთა მეფისასა... მაშინ მეფე იქმნა სომხითს დიდი იგი მეფე იარვანდ და ემძლავრა ფარსმანს არმაზელსა და მიუღო საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და არტანი მტკვრამდე... და ვერ იძებნეს მეფეთა ქართლისათა საზღვარი და მოკვდეს მწუხარებასა შინა დიდსა ფარსმან და ქაოს... იმათ შემდეგ გამეფდნენ აზორკ და არმაზელ (87—103 წ.). შეითქვნეს იგინი და განაზრახეს ძიებად საზღვართა ქართლისათა. მაშინ მოკლა სუმბატ ბივრიტიანმან იარვანდ მეფე სომეხთა და დასვა მეფედ ძმა იარვანდისა არტაშან".

როგორც ჩვენ წელთ-აღწერაში, აგრეთვე სომხურ ქრონიკაში სუმბატ ბივრიტიანი ანუ ბაგრატიდი სახელგანთქმულია. სუმბატის სამფლობელო მდებარებდა სპერის მახლობლად სემბატოვანში. იარვანდ ანუ ეროვანდ მეფის მოკვლის შემდეგ სუმბატმა დასვა სომხეთის ტახტზე ყმაწვილი არტაშეზი, შორეული ნათესავი და არა ძმა ეროვანდისა. სუმბატმა ყველაზე მომეტებული წარმატება აღმოიჩინა ყოველსავე ბრძოლაში. თვით „არტაშეზისა მოღვაწეობა—იტყვის მოსე ქორენელი—ცნობილია რასპოდთ ანუ მოლექსეთ შესხმათაგან. არტაშეზმა სძლევა მტკვრის პირათ ალანებს, რომელნიც მთიულთ და იბერთ თანა-შემწეობით დაესხნენ სომხეთს, და ალანს მეფის-ძე დასტყვევა. შემდეგ მიზიდული ალანთ მეფის ასულის სატინიკის სიტურფით, შეუღლდა იმას და ჰშო სხვათა შორის-ძე არტავაზი. სპარსეთის მეფის არშაკის სიკვდილის შემდეგ არტაშეზი დაჰსვამს სპარსეთის ტახტზე იმისძეს თავის მოსახელე არტაშეზს; მაგრამ ამ შემთხვევის გამო აიშლებიან ქასზნი, რომელთაც ძველად უჩვენებენ ალბანიის მახლობლად, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ამ ფინარის სართავთან ანუ ახლანდელს მუღანში. არტაშეზი სუმბატის თანაშემწეობით კასზებს სძლევს და დაამშვიდებს. რომის იმპერიაში მოხდება არეულობა. ამ შემთხვევით არტაშეზი ისარგებლებს და ხარკის მიცემას იმათთვის უარჰყოფს. იმპერატორი დომიციანი, გულ-მოსული სომხეთზე; გაგზავნის იქ თავის ჯარს; ბასიანში ორივე მხარე შეიბმიან და სუმბატი დაამარცხებს რომაელებს; მაგრამ შემდეგ, როდესაც ტრაიანე იმპერატორი სპარსეთზე გაილაშქრებს, არტაშეზი მოსთხოვს იმას შენდობას და ისევ რომის მოხარკე შეიქნება. ღირს-შესანიშნავია არტაშეზის შინაგანი მოღვაწეობა. ის აფუძნებს არაქსისა და მეწამურის მდინარეების საშუალ, მაღლობზე, სატახტო ქალაქს არტაშატას. იმის დროს არიან სომხეთს შემოსულნი არიელების ქვეყნიდამ ურიელების მთამომავალნი ამატუნები. არტაშეზის მეფობაშივე ისაზღვრება დაბები და მიწები. „ამბობენო—იტყვის მოსე ქორენელი,—რომ არტაშეზის დროს არ იყოო სომხეთში, მინდვრათ და მთებში, არც ერთი კუთხე შეუმუშავებელი. თუმცა უწინაც მრავალი იყოო წესდება და კეთილი ჩვეულება, მაგრამ არტაშეზამდე სასარგებლო სწავლა-ხელოვნება არ იცოდნენო. თვლა კვირისა, თვისა და წელთა ჯერ შემოღებული არ იყოო; ნავები არ დაცურავდნენო სომხეთის ტბებში და მდინარეებში."

ეს არტაშეზია ქართლის ცხოვრების არტაშანი... ამ დროს, ქართლის ცხოვრების თქმით, ქართლის მეფენი აზორკ და არმაზელ მოიწვევენ ლეკთა და ოვსთა ამათის მეფეებით ბაზუკით და აბაზუკით, პაჭანიკთა და ჯიქთა; შევლენ სომხეთში და წარმოსტყვევენ შირაკვანს და ვანანდს ბაგრევანამდე და ბასიანამდე და ურიცხვის ნატყვენავით უკუიქცევიან. სუმბატ ბივრიტიანი მსწრაფლ შემოჰკრეფს სომხეთის სპას და აედევნება ქართლის მეფეებს, როდესაც უკანასკნელნი ივრის პირზე ქამბეჩოვანში ბანაკობდნენ. ასტყდება ბრძოლა, მოსწყდება ორისავე მხრით ურიცხვი ხალხი; იძლევა ბანაკი „ჩრდილოსა" სომეხთაგან და შემოიხვეწებიან ორნივე მეფენი მცხეთას მოწყლულნი. სუმბატ გამარჯვებული შემოდის ქართლში, მოაოხრებს ამ მხარეს და ააშენებს ოძრახის ციხეს ადგილსა, „რომელსა ჰქვიან დებოთი, მოკიდებულ მთასა ლადოსასა" და დასტოვებს შიგ ლაშქარს, აზორკ და არმაზელი და დასცხრებიან. ქართველებს დაემეგობრებიან ოსნი, რომელნიც იწყობენ სისხლის ძიებას სომხებსე. უფროსი ბრძოლა მოხდება მდინარე ნოსტეზე და კლარჯეთის ერისთავი აზორკ მეფის აზნაურთაგანი ავნებს „საზღვართა სომხეთისა, ქვეყანასა პარხისასა, რომელ არს ტაოს და ვერეინ შევიდოდა მავნე კლარჯეთს, რამე თუ შეუვალი და მაგარი იყო ტყითა და კლდითა, და მკვიდრნი კალრჯეთისანი იყვნეს მკვირცხლნი და მხედარნიცა." თვით ქართლის მეფენი გაიმხედრებენ აბოცის გზით

---

მოწერილი (ა. ჭ—ძე და მ. ა—ოვი) აღიარეს რომ ჩვენ განუხილველად მოვაწერეთო ხელი. რასაკვირველია, კრებამ გადასდვა (3 მაისისათვის) სხდომა. იმის მაგიერ, რომ „შრომას" მთელი საურთიერთო ბანკის მმართველობა და კომმისიაც გაეკიცხა, მოსდგა და ის გალანძღა, ვინც ამისთანა დაუდევრობის წინააღმდეგ ხმის ამოღება სხვაზე უფრო მხნედ გაბედა, და გარდა ამისა, „ქონდრისკაცურად" ფილოსოფოსობს: სხდომის გადადებით „საზოგადო კრებამ **კანონი** დაარღვია და დიდი უპატიურებაც მიაყენა სარევიზიო კომმისიასო"! „სარევიზიო კომმისია ანგარიშის განსახილველად წესდებით ირჩევა წინა წლის კრებისაგან და არა იმ წლის კრებისაგან, რომელიც ანგარიშს ამტკიცებსო". აი, „კანცელარიული ხრიკები" თუ გინდა ამის თქმა არის! რა კი იმ წინა წელში ამორჩეულ კომმისიამ **არ განიხილა** ანგარიში, კრებას არ გადაუდვია სხდომა მაშ რა ექნა, განუხილავად დაემტკიცებინა იგი? თუ ისე მომზადებული გგონიათ ყველი თქვენი წევრი, რომ მას შეეძლოს საქმის ცოდნით ბანკის ანგარიშის განხილვა? აი რას მიქვია ჭეშმარიტებისათვის ზურგის შექცევა და, ვიტყვით „შრომის" სიტყვებს—„სრული უმეცრება ლოღიკურს სჯაში"...

კმარა, თორემ, თუ ყველა ის ყურადღების ღირსი საზოგადობრივი საქმენი ჩამოვთვალეთ რომელზედაც „შრომას" ყურადღება არ მიუქცევია, მაშინ როდესაც „სისტიქინის პოლემიკას" და ვილაც ახვლედიანების გაჭიაყელებულ სტატიებს კი ხშირად ჰბეჭდავს—ერთობ შორს წაგვიყვანს. ზემო-ხსენებულის მიზეზის გარდა ამ გვარს საგნებს კიდევ იმიტომ არ იხილავს თავის მოწყალე თვალით გაზეთი „შრომა", რომ მისი მეჭახრაკენი, იგივე „კრუხები" საურთიერთო ნდობის ბანკისა, როგორღაც ეწყობიან ერთსა და იმავე დროს წმიდა დროშაზე პოტინსაც და ძლიერთ წინაშე „ბორდლვა—სინანულსაც": (ამიტომაც ვთქვით № 64-ში „რომ **არ ღირდა** ისე სწყენია ეს სიტყვები „შრომას"-თქო. რადგანც ისე დამნაშავედ მაშინ არ მიგვაჩნდა, რომ მართალი სწყენოდა) მაგალითად კმარა (თუმც სხვაც ბევრია) გუბერნატორის განკარგულების ამბავი ქალაქის შემოსავალთა მობოჭვის ჩამორთმევაზე ბამგეობისაგან და პოლიციის ხელში ჩაგდებაზე...

ვინმემ რომ ერთ-მხრივობა არ დაგვწამოს და არავის არ ვათქმევინოთ ამ წერილის გამო ჩვენთვის „მიეცით კეისრისა კეისარს და ღმრთისა ღმერთსო"—ვეცდებით რაიმე რაინდული მხარე აღმოვუჩინოთ „შრომის" რედაქციას. აი ძებნაშივართ, ვათვალიერებთ ამ გაზეთის ნომრებს და თანდათან უფრო ვრწმუნდებით, რომ ტყუილად კი არ „უგვემია თავი-თავისი" მისს რედაქციას, რომელმაც თვითონვე უწოდა თავის წევრებს „**ჩიისა და ქონდრის კაცები**". მაგრამ, სსსუ!.. მგონი რაღაც ვნახეთ იმისთანა, რაც ამ წოდებას სულ თუ არ ართმევს მისს მნიშვნელობას, მაინც ფერს უბინდებს: ეს არის კორრესპონდენცია დუშეთიდამ. რა კარგად, ცოდნით და ტაქტიკურის სიმკვახით და იუმორიულად იბახება ამ წერილით ქ. ერისთავი დუშეთის მომრიგებელი შუამავალი! ბრავო, რედაქციავ, ამისთანა კორრესპონდენტის ყოლისათვის! ჯან, გაზეთო, ასე მამაცურად ბრძოლისათვის წინააღმდეგ „მიროვოი პოსრედნიკისა", რომელიც ბოროტად ხმარობს თურმე თავის საპატიო მოვალეობას! აი, ეს კი მოსაწონია! მაგრამ... ვაი უბედრებას... დასწყევლოს ღმერთმა დავით ერისთავი, აი, ის რედაქტორი „კავკაზისა", რომელიც, ალბად, მისი გვარის ჩაბახვას გაუმწარებია და ქვეყანას გააგებინა, რომ „შრომას" სასაცილო საქმე შეემთხვა, იმისთანა კაცს უწუნებს მომრიგებელ შუამავლობას დუშეთში და ამბობს თავის ადგილს არ არისო, რომელიც მისს დღეში „პოსრედნიკად" დუშეთში არ ყოფილაო! იყო ამ გვარის მქონე ერთი კაცი დუშეთში „შუამავლად", მაგრამ ორის წლის წინედო!

რაღა გაეწყობა, ხელი უნდა ჩამოვუშვათ.. მაგრამ „შრომა" რომ გულნაკლული არ დაგვრჩეს, უნდა აღვიაროთ, რომ იგი სწორედ ღირსია მამაცურად ბრძოლისათვის წინააღმდეგ.. გ. არაგვისა შეიქნეს კავალერი ნიორის ლენტზე ჩამოკიდებულ წმ. ბოლოკის ჯვრისა!

სომხეთზე. მაშინ გამოემართებიან მთელის ძალით სომხეთის მეფე არტაშანი და იმისი სპასპეტი სუმბატი, მოვლენ და დაიბანაკებენ მცხეთას და იბრძვიან ხუთი თვე. შეჭირვებულნი ქართველნი და ოსნი მოითხოვენ მშვიდობას. სომეხთ მეფე შეისმენს იმათ ვედრებას ფიცით და აღთქმით, და დაიმონებს ქართველებს და ოსებს და უკუიქცევა.

შემდეგ ამისი „უცადო იქმნეს-განაგრძნობს ქართველის ცხოვრება-სომეხნი, რამეთუ იწყეს ბრძოლა სპარსთა და ბერძენთა ჰპოვეს ჟამი მარჯვე ქართველთა და ოვსთა, იწყეს კირთებად სომეხთა.“ არტაშიან მეფე შემოკრებს შინ დარჩენილ ჯარს. რომელსაც მიანდობს თავის შვილს ზარენს და გაალაშქრებს ქართლზე, ქართველნი და ოსნი შეებრძოლებიან სომხებს ჯავახეთში, სძლევენ ზარენს ცელის ტბის პირზე. ოსთა ჰსურთ იმისი მოკვლა, მაგრამ ქართველნი არ იქმონენ ამას „ძიებისათვის საზღვართა მათთასა“-და მხოლოდ დაატუსაღებენ ზარეჰნს დარიალანის ციხეში. მესამე წელს შემოვლენ ქართლში მთელის სომხეთის ჯარით სუმბატ და ორნი მეფის შვილნი არტაზ და ტიგრან და დაიბნაკებენ თრიალეთს, სადაც ორივე მხარე დაზვდება ქართველები დაუბრუნებენ ზარეჰნს და დაუდებენ შემდეგ პირობას: „უკეთუ აღდგეს მტერი და მოლმართ ებრძოდეს, ჩვენ ორნივე მეფენი თავით ჩვენით და სპითა ჩვენითა თანა დაგიდგეთ და გიშველოთ და თუ ვისმე მიღმართ ბრძოლეთ, ათას-ათასითა მხედრითა ჭურვილითა შეგეწეოდით, და ესეცა აღუთქვეს ქართველთა, ვითარმედ „ქალაქსა ჩვენსა დრამა არტაშიან მეფისა ხატითა დავსცეთო.“ შემდეგ ამისა სომხებმა უკუმოსცეს საზღვარი ქართლისა, ქალაქი წუნდა და ციხე დემოთისა, ჯავახეთი და არტანი, და „მიერითგან იქმნეს მოყვარე სომეხნი, ქართველნი და ოვსნი.“

დიმ. ბაქრაძე.

(გაგრძელება)

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფები მიიღებიან დილის რვა საათიდამ თორმეტ საათამდის.

**ორშაბათს** გარალევიჩი და ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი მარლევების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**სამშაბათს.** მინკევიჩი—ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი და დანიელ-ბეგოვი—მარლევების სისუსტის და შინაგან ავათმყოფობისა.

**ოთხშაბათს.** ლისიცევი და მირიმანოვი შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების სისუსტ-ავათმყოფობისა.

**ხუთშაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების ავათმყოფობისა.

**პარასკევს.** მინკევიჩი — ხირურგიული ავათმყოფობისა; ლისიცევი, მირიმანოვი და დანიელ-ბეგოვი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლევების სისუსტის ავათმყოფობისა.

**შაბათს.** ლისიცევი—შინაგან ავათმყოფობისა; კელდიში—სიფილისტიკური და ხირურგიული ავათმყოფობისა; ბახუტოვი—ბებიაობის, ქალების და ყმაწვილების ავათმყოფობისა; ბაბაევი—მარლ. ს სუსტის ავათმყოფობისა.


# განცხადებანი

„წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართებლობა ამით აცხადებს, რომ მისგან დაარსებულს ბათუმის სკოლაში გაიხსნება მასწავლებლების ვაკანცია თიბათვიდამ. ვისაც სურს ეს ადგილი დაიჭიროს, შეუძლიან წარმოადგინოს თხოვნა ამ საზოგადოების სამწერლოში, (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, № 9.) (5—2)

### ისყიდება

თფილისის წიგნის მაღაზიებში ახლად-გამოსული რუსულს ენაზე წიგნი.

**Грузинскія крестьянскія грамоты, крѣпостные и судебные акты, грамоты и письма грузинскихъ и персидскихъ царственныхъ особъ. (Матеріалы для исторіи древной грузіи).**

**сост. Д. П. Пурцеладзе.**

ქუთაისში ისყიდება ჭილაძეების მაღაზიაში.

ფასი ერთი მანეთი

დაიბეჭდა და ისყიდება

## ქუჩუჩ ყარამანიშვილის

მოთხრობა,

მეთოთხმეტე ნაწილი.

მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პირველის ნაწილიდამ ვიდრე უკანასკნელ ნაწილამდინ მელიქიშვილის სტამბაში, ბატონ ნიკო კობალაძესთან.

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**თამარ დედოფალი**

შედგენილი

გ. ბ—შვილისაგან

გამოცემა

ზაქ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ერთი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება ზრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**მამულის**

**საერთო მფლობელობაზე**

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზ…

ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო

# ბანკისაგან

ზედამხედველი კომიტეტი ქუთაისის თავად-აზნაურობის საადგ… მამულო ბანკისა აცნობებს ხსენებულის ბანკის წევრთა, რომ ჩვეულ… რივი წლიური საზოგადო კრება დანიშნულია ამა 1882 წლის … მაისისათვის, დილის თერთმეტ საათზე, ქ. ქუთაისს, ბანკის გამგეობის … დგომში.

საზოგადო კრების განსახილველი საგნები არიან შემდეგნი:

1) განხილვა და დამტკიცება ბანკის ანგარიშისა 1881 წლისა.
2) დამტკიცება ბანკის ხარჯებისა 1882 წლისათვის.
3) შეცვლა და დამტკიცება დამფასებელთ კომისიის ინსტრუქ… ზოგიერთთა §§.
4) დანიშვნა იმ საგნებისა, თუ რაზედ უნდა მოხმარებულ იქნეს საზ… გადო საჭიროებათათვის გადადებული ფულები.
5) არჩევა რიგით გამოსასვლელთ მაგიერ: ბანკის გამგეობის წევ… თ. ფაღავასი, ორთა ზედამხედველის კომიტეტის წევრთა და ბანკის გამ… ობის წევრთა ერთის კანდიდატისა (3—1)

### ანგარიში

ხვანჭკარის გამსესხებელ-შემნახველ ამხანაგობისა 1881 წლისა.

1 იანვარს 1881 წელსა იყო:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. … |
|---|---|---|---|
| წილის ფული — — | 9,599—69 | გასესხებული — — | 11,078—… |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 500— „ | ნაღდი ფული — — | 658—… |
| სათადარიგო თანხა — | 242—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 1,393—81 | | |
| ჯამი | 11,736—41 | ჯამი | 11,736—… |

1881 წელში:

| შემოსავალი: | მან. კაპ. | გასავალი: | მან. … |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 297—66 | წილადი ფული — — | 660—… |
| სარგებელი დაჭერილი გასესხების ან ახალი ვალის მიცემის დროს | 885—95 | მოგება 1880 წლის წილადებზე მიცემული | 681—… |
| ჯარიმა — — — | 111— 2 | გასესხებული — — | 13,528—… |
| დაბრუნებული სესხები— | 13,952— „ | სარგებელი დაბრუნებული ვადაზედ წინ გარდახდილი სესხისა — | 20—… |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 284— „ | სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 500—… |
| სათადარიგო თანხა — | 139— „ | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილისა | 33—… |
| | | სამართველოს ხარჯი — | 292—… |
| | | სხვა-და-სხვა გასავალი— | 14—… |
| | | ალებ მიცემის გასავალი | 356—… |
| ჯამი | 15,669—63 | ჯამი | 16,087—… |

1 იანვარს 1882 წელსა არის:

| | მან. კაპ. | | მან. … |
|---|---|---|---|
| წილადი ფული — — | 9,236—61 | გასესხებული — — | 10,654—… |
| სასარგებლოდ შემოტანილი — — — | 284— „ | ნაღდი ფული — — | 240—… |
| სათადარიგო თანხა — | 381—91 | | |
| წმინდა მოგება — — | 992—23 | | |
| ჯამი | 10,894—75 | ჯამი | 10,894—… |

ნამდვილთანა სწორ არს გამგებელნი: თ. გ. ყიფიანი, ბესარიონ … (3—1)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 20 Апрѣля 1882 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მ…